საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი

შრომითი ხელშეკრულება #

ქალაქ თბილისი _____ _____ 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის, **არჩილ ფრანგიშვილის** სახით (შემდგომში - დამსაქმებელი) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის, **ნუგზარ ყავლაშვილის** სახით და, მეორე მხრივ, ფიზიკური პირი . . . . . (შემდგომში - დასაქმებული), ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს შრომის კოდექსის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი იღებს სამუშაოზე, ხოლო დასაქმებული თანახმაა განახორციელოს შრომითი საქმიანობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში . . . . . .

(განყოფილების დასახელება)

უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე.

1.2. დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს დამსაქმებელს წინამდებარე ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის დაცვა.
2.1.2. ისარგებლოს ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით.
2.1.3. ისარგებლოს საქართველოში დაწესებული უქმე დღეებით.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:
2.2.1. დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, შეასრულოს ინსტიტუტის გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, კერძოდ:
- ✓ აწარმოოს სამეცნიერო კვლევები როგორც რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოების შემსრულებელმა და გაუწიოს ხელმძღვანელობა კვლევით თემაზე ან მის ნაწილზე (ეტაპზე) მომუშავე თანამშრომელთა ჯგუფს;
- ✓ დაამუშავოს სამეცნიერო კვლევების ჩატარების გეგმები;

- ✓ საინტერესო თემის ირგვლივ მოიძიოს და შეისწავლოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, მოახდინოს სამეცნიერო მონაცემების, ექსპერიმენტებისა და დაკვირვებების შედეგების ანალიზი და თეორიული განზოგადება;
- ✓ შეამოწმოს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი თანამშრომლების მიერ მიღებული შედეგების სისწორე;
- ✓ საკვლევი თემის ან მისი ნაწილის (ეტაპის, ამოცანის) მიხედვით შეადგინოს ანგარიში (ანგარიშის ნაწილები);
- ✓ მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევების შედეგების დანერგვაში;
- ✓ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გამოაქვეყნოს არანაკლებ ორი სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემებსა ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში;
- ✓ მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ/საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში და კვლევით პროექტებში.

2.2.2. თავისი საქმიანობისას იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, შინაგანაწესით და ინსტიტუტის დებულებით.

2.2.3. სამართლიანად და პატივისცემით მოეპყროს კოლეგებსა და თანამშრომლებს, პატივი სცეს მათ პროფესიულ/თანამდებობრივ და სხვა საქმიანობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა და შრომის შედეგები.

2.2.4. არ დაუშვას უხეში და მიუღებელი კრიტიკა; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს მხოლოდ კონსტრუქციული; დაუშვებელია კოლეგის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება.

2.2.5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შესაბამისი თანამდებობრივი საქმიანობის ფარგლებში თანაბრად და სამართლიანად უნდა გადაინაწილოს ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროფესიული მოვალეობები, აქტიური დახმარება გაუწიოს და ხელი შეუწყოს კოლეგებს სხვა საქმიანობასა და პროფესიული განვითარების საქმეში.

2.2.6. არ უნდა გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი ანგარების მიზნით, არ უნდა მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც კოლეგებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს.

2.2.7. თავი უნდა შეიკავოს ინსტიტუტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისგან, რაც ხელს შეუშლის მის საინსტიტუტო მოვალეობების ჯეროვან განხორციელებას.

2.2.8. სისტემატურად უნდა იღწვოდეს პროფესიული დონის ასამაღლებლად. ამასთან, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ინსტიტუტის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2.2.9. დაემორჩილოს დამსაქმებლის გადაწყვეტილებებს მის მიერ სამსახურის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში გაცდენილი საათების შესაბამისი ხელფასის დაკავების შესახებ, ერთი თვის განმავლობაში სამსახურის 20%-ზე მეტის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში განიხილოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საკითხი.

2.2.10. წერილობით შეატყობინოს დამსაქმებლებს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

2.2.11. დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის შესახებ და შეუფერხებლად წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები.

2.2.12. არ გათქვას კონფიდენციალური ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

2.2.13. პირადად და სრულად აგოს პასუხი ნებისმიერი ზიანისათვის და/ან დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება დამსაქმებლებს, მისთვის მინდობილი ქონების არამიზნობრივად გამოყენების შედეგად ან დაუდევრობით.

2.3. დამსაქმებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ინსტიტუტის დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.
2.3.2. მოსთხოვოს დასაქმებულს ცნობის წარმოდგენა ფსიქო-ნერვული და ნარკოლოგიური სამედიცინო დაწესებულებიდან.
2.3.3. ინსტიტუტში დადგენილი წესით, შრომის შედეგების მიხედვით მისცეს დასაქმებულს დანამატი, ჯილდო ან პრემია.
2.3.4. დაუკავოს დასაქმებულს გაცდენილი დროის შესაბამისი ხელფასი, თვის განმავლობაში სამუშაოს 20%-ზე მეტის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში განიხილოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საკითხი.
2.3.5. მიიღოს გადაწყვეტილება ყოველი წლის დასაწყისში შრომის საზღაურის ოდენობის ცვლილების შესახებ, თუ ასეთი გამოწვეულია ინსტიტუტის სტრუქტურული რეორგანიზაციით ან/და სხვა ობიექტური გარემოებებით.

2.4. დამსაქმებელი ვალდებულია:
2.4.1. გააცნოს დასაქმებულს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, მითითებულ აქტებში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შემთხვევაში, გააცნოს აღნიშნული ცვლილებები.
2.4.2. უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შესაბამისი პირობების შექმნა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის.
2.4.3. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომისა და სხვა სოციალური გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ინსტიტუტის დებულებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.
2.4.4. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის დროული ანაზღაურება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.
2.4.5. უზრუნველყოს დასაქმებული ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით.
2.4.6. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მოახდინოს დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

3. თანამდებობრივი სარგო

3.1. დამსაქმებელი დასაქმებულს თანამდებობრივი სარგოს სახით უხდის თვეში _____ ლარის ოდენობით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის გადაწყვეტილების შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების 2.3.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დამსაქმებელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაძლებელია ცალმხრივად მოხდეს ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ცვლილება, რაც არ საჭიროებს ცვლილებას ამ ხელშეკრულებაში.

3.3. დასაქმებულს თანამდებობრივი სარგოდან დაექვითება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სათანადო გადასახადი.

3.4. თანამდებობრივი სარგო გაიცემა თვეში ერთხელ, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 7 (შვიდი) რიცხვისა.

4. სამუშაო დრო და შვებულება

4.1. დასაქმებულის სამუშაო დრო და რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და ინსტიტუტის დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

5.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება _____ წლის _____ _____- დან _____ წლის _____ _____- მდე.

5.2. ხელეკრულების ვადის გასვლა მისი შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს შრომის კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამსაქმებლის ეთიკის კოდექსის ან/და ამ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში.

6. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

6.1. დასაქმებულის ბრალით დამსაქმებელისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში, მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების სახით.

6.2. მხარეთა შორის შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ დამსაქმებლებსა და დასაქმებულს შორის შეთანხმებული პროცედურის გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით.

6.3. თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

7. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

7.1. მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისინი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, გარდა ხელშეკრულების 2.3.5 და 3.3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპა-

რაკებები, რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგ-ზემპლარად, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

8. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი	**დასაქმებული**
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	_____ (სახელი, გვარი)
ს/ნ 211349192	
მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას, 77	_____ (მისამართი)
	_____ (პირადი №)
რექტორი	_____ (ტელეფონი)
არჩილ ფრანგიშვილი	
_____ (ხელმოწერა)	_____ (ხელმოწერა)

სტუ ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი

ვახტანგ კვარაცხელია

_____
(ხელმოწერა)